ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

‘ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი: დადგენილების პროექტის მიღება განაპირობა, „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილების თაობაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სარეკომენდაციო დასკვნის წარმოდგენამ, დასაზუსტებელია სხვადასხვა რამდენიმე საკითხი და ტერმინი.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი: დადგენილების პროექტის მიღების მიზანია „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის

სრულყოფა, რომ აღმასრულებელ ორგანოს ხელი არ შეეშალოს შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებაში.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი: დადგენილების პროექტით ახალი რედაქციით ჩამოყალიბდება დადგენილების დანართი.

ბ)დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: დადგენილების პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებითი ხარჯებით დაფინანსებასთან.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ)დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) მუნიციპალიტეტის ახალი ფინანსური ვალდებულებები: დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

გ) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

დ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

ე) დადგენილების პროექტის ავტორი: პროექტის ავტორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

ვ) სხდომაზე მომხსენებელი:

სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე